ღია საზოგადოების ფონდი

თბილისი, 2022 წლის ნოემბერი

მედიის საქმიანობაში უკანონო ჩარევა და მედიის წარმომადგენელთა მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულება

პოლიტიკის დოკუმენტი

ავტორი:
იოსებ ედიშერაშვილი*
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სახელით

დოკუმენტი მომზადებულია „ღია საზოგადოების ფონდის“ შიდა პროექტის „ევროკავშირი-საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მონიტორინგი საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოალიციის მიერ“. ტექსტისა და კომენტარების ავტორის მიერ გამოხატული შეხედულებები, მოსაზრებები და განცხადებები მხოლოდ მას ეკუთვნის და არ გამოხატავს ფონდის მოსაზრებას. შესაბამისად, ფონდი მასალის შინაარსზე პასუხს არ აგებს.

რეზიუმე

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია საქართველოში მედიის წინაშე არსებული გამოწვევების დეტალური შეფასება. მასში გაანალიზებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი, რომლებიც ხელს უწყობს მედიასაშუალებებისა და ჟურნალისტებისთვის მტრული და არამეგობრული გარემოს შექმნას. ბოლო 5-6 წლის განმავლობაში საგრძნობლად გაუარესდა მედიის წარმომადგენელთა უსაფრთხოება და კიდევ უფრო გახშირდა ჟურნალისტებზე სიტყვიერი თუ ფიზიკური თავდასხმის და მათ პროფესიულ საქმიანობაში უკანონო ჩარევის შემთხვევები. გარდა ამისა, ხელისუფლების რეაგირება სუსტი და არასაკმარისი იყო – ხელისუფლება არ აღკვეთს მსგავს ქმედებებს, არ იძიებს ბრალდებებს და არ აწარმოებს დამნაშავეთა სამართლებრივ დევნას. სახელმწიფო უწყებათა უმოქმედობამ და მაღალჩინოსანთა აგრესიულმა რიტორიკამ წაახალისა 2021 წლის 5-6 ივლისს მედიის 50-ზე მეტ წარმომადგენელზე რადიკალური და ჰომოფობიური ჯგუფების უპრეცედენტო თავდასხმა. მედიაზე თავდასხმის კიდევ ერთი დასტურია 2022 წლის დასაწყისში ტელეკომპანია „მთავარის“ დირექტორის ნიკა გვარამიას დაკავება და სისხლისსამართლებრივი დევნა.

პრობლემები არსებობს მედიის თვითრეგულირების შესაძლებლობაში, ისევე, როგორც მედიის მმართველ მარეგულირებელ ორგანოში. საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობამ არ იცის რაიმე თვითრეგულირების მექანიზმების ან საჩივრების სისტემის არსებობის შესახებ, რომლის დანიშნულებაა მედიის პროფესიული სტანდარტების დაცვასთან დაკავშირებით საზოგადოებისგან საჩივრების მიღება. მეორე მხრივ,

***იოსებ ედიშერაშვილი** საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ადამიანის უფლებათა ანალიტიკოსია.

მედიის მმართველმა სახელმწიფო მარეგულირებელმა ორგანომ დაუშვა მაუწყებლობის შინაარსში ჩარევის და გამოხატვის თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვის არაერთი შემთხვევა. ასეთი გადაწყვეტილებები ძირითადად მიმართულია მმართველი პარტიის მიმართ კრიტიკულად განწყობილი მედიისკენ, რაც მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში ეჭვს ბადებს. ამის მაგალითებია „ელექტრონული კომუნიკაციებისა“ და „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონების აშკარად არასწორი ინტერპრეტაცია, რის შედეგადაც არხი „მთავარი“ დაჯარიმდა ეთერში „უხამსი“ მასალის გაშვებისთვის. ამასთან, მარეგულირებელი მუდმივად აჯარიმებს მაუწყებლებს არასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური რეკლამის გაშვებისთვის, რაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

გარდა ამისა, სახელმწიფო უწყებები დისკრიმინაციულ და მტრულ დამოკიდებულებას ავლენენ ჟურნალისტების მიმართ, რაც გამოიხატება იმით, რომ არ აძლევენ მათ საჯარო ინფორმაციას. სახელმწიფო უწყებებს კანონით მოეთხოვებათ, საჯარო ინფორმაცია შემთხვევათა უდიდეს უმრავლესობაში მიაწოდონ ყველა დაინტერესებულ პირს, თუმცა მედიასაშუალებები და ჟურნალისტები ამ ინფორმაციის მიღების პროცესში გაუმართლებელ დაბრკოლებებს აწყდებიან. სახელმწიფო უწყებები ხშირად აყოვნებენ ან საერთოდ უარს ამბობენ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემა ხელს უწყობს იმგვარი გარემოს შექმნას, რომელიც აფერხებს გამოხატვის თავისუფლების ფუნდამენტური უფლებით სარგებლობას. წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია აღნიშნული პრობლემების დეტალური ანალიზი და ასევე რეკომენდაციები სახელმწიფო უწყებებისთვის, თუ როგორ უნდა მოგვარდეს პრობლემები მედია-გარემოს გაუმჯობესებისა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების რეალიზაციის მიზნით.

შესავალი

საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო აქტები უზრუნველყოფს გამოხატვისა და მედიის თავისუფლებას, ასევე ჟურნალისტური საქმიანობისთვის თავისუფალი, თანაბარი და უსაფრთხო გარემოს შექმნას. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ამ უფლებების რეალიზაციას მრავალი გამოწვევა შეხვდა. აქ ძირითადი საკითხია სახელმწიფოს დამოკიდებულება და ქცევა მმართველი პარტიისადმი კრიტიკულად განწყობილი მედიასაშუალებების მიმართ. ბოლო წლებში გაძლიერდა აგრესიული რიტორიკა და მედიის წარმომადგენელთა დისკრიმინაცია. სახელმწიფო უწყებები ნეგატიურ დამოკიდებულებას ავლენენ მედიასაშუალებებისა და ჟურნალისტების ქმედებების მიმართ, უფრო მეტიც, სახელმწიფო უწყებათა ქმედებები არ შეესაბამება მედიის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მარეგულირებელ ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, რომელიც იგულისხმება, რომ უნდა იყოს სატელევიზიო მაუწყებლობის (სხვა მედიასთან ერთად) მარეგულირებელი დამოუკიდებელი ორგანო, პრობლემები შექმნა მედია-გარემოში. ზოგიერთ შემთხვევაში კომუნიკაციების ეროვნული კომისია ცდილობდა მაუწყებელთა შინაარსის გაკონტროლებას და გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენას. ეს ქმედებები იყო საკამათო და ხშირად მცირე იურიდიული საფუძველი ჰქონდათ ან საერთოდ არ ჰქონდათ, ან ეყრდნობოდ-

ნენ კანონის არასწორ ინტერპრეტაციას. სხვა სახელმწიფო უწყებები აყოვნებენ ან პირდაპირ თავს იკავებენ ჟურნალისტებისთვის საჯარო ინფორმაციის მიწოდებისგან. ყველა ეს ასპექტი ერთობლივად ქმნის არამეგობრულ მედია-გარემოს და აფერხებს ფუნდამენტური უფლებების რეალიზებას.

1. მედიის წარმომადგენელთა უსაფრთხოება

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საგრძნობლად გაუარესდა მედიის წარმომადგენელთა უსაფრთხოება და კიდევ უფრო გახშირდა ჟურნალისტებზე სიტყვიერი თუ ფიზიკური თავდასხმის და მათ პროფესიულ საქმიანობაში ჩარევის შემთხვევები.[1] სახელმწიფო არ უზრუნველყოფს მსგავს ფაქტებზე სათანადო რეაგირებას ან მათ პრევენციას. როცა საქმე გამოძიებამდე მიდის, საქმეებს ან არაეფექტიანად იძიებენ, ან საერთოდ არ იძიებენ. მაგალითად, 2019 წლის 20-21 ივნისის საპროტესტო აქციაზე დაშავებული ჟურნალისტების საქმეები ჯერ კიდევ არ არის გამოძიებული.[2]

ასევე პრობლემურია სასამართლოს მიდგომა ჟურნალისტებზე თავდასხმის საქმეებისადმი, რადგან ის არ ადგენს სიძულვილის მოტივს ან დამამძიმებელ გარემოებებს და არაპროპორციულად დაბალ სანქციას აწესებს. ამის კარგი მაგალითია 2021 წლის თებერვლის თავდასხმა ჟურნალისტ ვახო სანაიასა და მის ოჯახზე და სასამართლოს შემდგომი არაეფექტიანი სამართლებრივი რეაგირება ამ შემთხვევაზე.[3]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლი კრძალავს ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონო ჩარევას. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 154-ე მუხლთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, პროკურატურიდან და სასამართლოებიდან საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა. 2020 წელს პოლიციამ გამოძიება შვიდ საქმეზე, სისხლისსამართლებრივი დევნა კი ორ საქმეზე დაიწყო. 2021 წელს პოლიციამ გამოძიება 13 საქმეზე წამოიწყო, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა – 63 საქმეზე.[4] 2022 წლის იანვრიდან ივლისის ჩათვლით პოლიციამ რვა საქმეზე დაიწყო გამოძიება, ხოლო ოთხ საქმეზე სამართლებრივი დევნა. სასამართლოები არ აწარმოებენ სტატისტიკას 154-ე მუხლის შესახებ. ზემოაღნიშნული მიუთითებს უზარმაზარ განსხვავებაზე გამოძიების დაწყებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შემთხვევებს შორის. გარდა ამისა, იმის გამო, რომ სასამართლოები არ აწარმოებენ სტატისტიკას, მდგომარეობის შეფასება კვლავაც რთულია.

სახელმწიფო უწყებების უმოქმედობამ და მაღალჩინოსანთა აგრესიულმა რიტორიკამ მედიის მიმართ წაახალისა უპრეცედენტო თავდასხმა მედიის წარმომადგენლებზე 2021 წლის 5-6 ივლისს, რომლის დროსაც რადიკალი და ჰომოფობიური ჯგუფები თავს დაესხნენ მედიის 50-ზე მეტ წარმომადგენელს.[5] რამდენიმე დღეში გარდაიცვალა „ტვ პირველის" ოპერატორი ალექსანდრე ლაშქარავა.[6] სახელმწიფოს პასუხი ძალადობაზე კვლავ არაადეკვატური იყო.[7] მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა მტკიცებულება ბევრი შემთხვევისა, როდესაც ორგანიზატორები საზოგადოებას ძალადობისკენ მოუწოდებდნენ, ძალადობის არც ერთი ორგანიზატორისთვის ბრალი არ წაუყენებიათ.[8] გარდა ამისა, 2022 წლის 12 ივნისს „ტვ პირველის" ეთერში გასულ სიუჟეტში გაისმა შე-

1 კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის" [ფეისბუქის გვერდი], 2022 წლის 12 აპრილი, „კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის" ტელეკომპანია "ფორმულას" თანამშრომლებზე თავდასხმის ფაქტებს ეხმაურება, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3ovTFyl, ნანახია: 2022 წლის 31 აგვისტოს; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, [ფეისბუქის გვერდი], 2021 წლის 9 მაისი, „კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის" სასულიერო პირების მხრიდან ჟურნალისტებზე თავდასხმებს გმობს," ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3rIkX76, ნანახია: 2022 წლის 31 აგვისტოს; კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის" [ფეისბუქის გვერდი], 2021 წლის 19 ნოემბერი, „კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის" საგანგაშოდ მიიჩნევს საქართველოში კიდევ ერთი უკრაინელი ჟურნალისტის უფლების შეზღუდვას", ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/31FBiyG, ნანახია: 2022 წლის 31 აგვისტოს.

2 2019 წლის 20-22 ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება აქციის დაშლის შესახებ, რაც აქციაზე მყოფი ხალხის უფლებების ფართომასშტაბიან დარღვევაში გადაიზარდა. იხ. „საია 20 ივნისს დაზარალებული დემონსტრანტებისა და ჟურნალისტების სახელით ევროპულ სასამართლოს მიმართავს", საია-ს ვებგვერდი, 2021 წლის 4 ივლისი. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3O9cL8B, ნანახია: 2022 წლის 31 აგვისტოს.

3 2021 წლის 25 თებერვალს თავს დაესხნენ ტელეკომპანია „ფორმულას" ჟურნალისტ ვახო სანაიას და მისი ოჯახის წევრებს. სასამართლოს სასჯელი დამნაშავეების მიმართ არაპროპორციულად დაბალ სანქციებს ითვალისწინებდა. დეტალურად იხილეთ: „ჟურნალისტ ვახო სანაიას მიმართ თავდასხმის საქმეზე GDI პროკურატურას მიმართავს და სასჯელის ნაწილში სასამართლოს განაჩენის გასაჩივრებას მოითხოვს. იხ. https://bit.ly/3L66GYP; კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის" [ფეისბუქის გვერდი], 2021 წლის 25 აგვისტო, „კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის" რეაგირებს ჟურნალისტ ვახო სანაიასა და მის ოჯახზე თავდასხმაზე." ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3ven2rw, ნანახია: 2022 წლის 31 აგვისტოს.

4 საქმეების დიდი რაოდენობა 2022 წლის 5-6 ივლისის მოვლენებიდან გამომდინარეობდა.

5 მ. სვიმონიშვილი და სხვები, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „5-6 ივლისის მოვლენების ქრონოლოგია და სამართლებრივი შეფასება"", 2021, 13-21, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3lRIqyX, ნანახია: 2022 წლის 31 აგვისტოს.

6 კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის" [ფეისბუქის გვერდი], 2021 წლის 11 ივლისი, „კოალიცია მწუხარებას გამოთქვამს "თV პირველის" ოპერატორის, ალექსანდრე ლაშქარავას გარდაცვალების გამო". ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3jsQFjp, ნანახია: 2022 წლის 31 აგვისტოს.

7 იქვე.

8 იქვე.

მაშფოთებელი ბრალდებები, რომ 5 ივლისის ძალადობრივი ქმედებების მომზადებაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონკრეტული თანამშრომლები მონაწილეობდნენ.[9]

გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ 5-6 ივლისის მოვლენების შემდეგაც კი ხელისუფლების წარმომადგენლებს ხშირად დისკრიმინაციული დამოკიდებულება[10] აქვთ მედიის მიმართ და მათ ლეგიტიმურ მოთხოვნებს კვლავ აგრესიული რიტორიკით პასუხობენ.[11]

კრიტიკულ მედიასთან ბრძოლის კულმინაცია ნიკა გვარამიას დაკავება და სისხლისსამართლებრივი დევნა იყო. საია აკვირდებოდა ე.წ. „რუსთავი 2"-ის საქმეზე მიმდინარე სასამართლო პროცესებს და გააანალიზა ნიკა გვარამიასთვის გამოტანილი განაჩენი. სასამართლო განხილვა ბადებს კითხვებს ბრალდებულისთვის ბრალის წაყენების, სასამართლო პროცესის, განაჩენის გამოტანის სტანდარტებთან და სასამართლო პროცესის სხვადასხვა ეტაპზე მოსამართლის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, რის გამოც შეიძლება მივიჩნიოთ, რომ განაჩენი დაუსაბუთებელია. გარდა ამისა, სასამართლო დარბაზში შესწავლილი მტკიცებულებების დიდი ნაწილი ეჭვს ბადებს ნიკა გვარამიას ბრალეულობაში.[12]

2. თვითრეგულირების პრობლემები და მარეგულირებელი ორგანოს საკამათო მიდგომა

მედიის რეგულირებას საქართველოში ორი ასპექტი აქვს: თვითრეგულირების მექანიზმი და მარეგულირებელი ორგანო. თვითრეგულირება ეფუძნება „საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას", რომელიც 2009 წლის დეკემბერში დაარსდა ქართველი ჟურნალისტების ჯგუფის მიერ, რომლებსაც მედიაში პროფესიული სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა სურდათ.[13] „საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია" ზედამხედველობას უწევს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის შესრულებას, რომელიც ადგენს შეცდომების გამოსწორების, ინფორმაციის კონფიდენციალური წყაროების დაცვის, ბავშვთა უფლებებისა და კონფიდენციალურობის პატივისცემის და დისკრიმინაციის თავიდან აცილების ვალდებულებას. ქარტიას მართავს საბჭოს ცხრა წევრი, რომლებსაც ქარტიის წევრები ირჩევენ. საბჭო ქარტიის წევრების სახელით წარდგენილი საჩივრების საფუძველზე განიხილავს პროფესიული სტანდარტების ნებისმიერი დარღვევის ფაქტებს. ქარტია ასევე ხელს უწყობს მედიის თავისუფლებას და ავრცელებს განცხადებებს, როდესაც მედიის თავისუფლებას საფრთხე ემუქრება.[14]

თვითრეგულირების ორგანოსთან დაკავშირებით მთავარი პრობლემა საზოგადოების ინფორმირებულობის ნაკლებობაა. მოქალაქეთა უმრავლესობამ არ იცის საჩივრების სისტემის არსებობის შესახებ. ევროპის ფონდის მიერ 2022 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ გამოკითხულთა 84%-მა არ იცოდა საჩივრების სისტემის არსებობის შესახებ.[15]

სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების კუთხით, მთავარი მარეგულირებელი ორგანოა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. კომისია ფორმალურად დამოუკიდებელი ორგანოა. „მაუწყებლობის შესახებ" კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში დადგენილია: „კომისია,

[9] იხ.: „2021 წლის 5-6 ივლისს განვითარებული მოვლენები ამ დრომდე სათანადოდ არ არის გამოძიებული". საია-ს ვებგვერდი, 2022 წლის 5 ივლისი. https://bit.ly/3bXythH ნანახია: 2022 წლის 31 აგვისტოს.

[10] იხ. საია [ფეისბუქის გვერდი], 2021 წლის 11 ნოემბერი, კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის" მოუწოდებს იუსტიციის სამინისტროს შეწყვიტოს ჟურნალისტთა დისკრიმინაცია", ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3rKf5du. ნანახია: 2022 წლის 31 აგვისტოს.

[11] იხ. კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის" [ფეისბუქის გვერდი], 2021 წლის 17 ივლისი, კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის" პარტნიორი ორგანიზაციები შეშფოთებას გამოვთქვამთ პრემიერ-მინისტრის მიერ „მთავარი არხის", „ტვ პირველის" და „ფორმულას" დისკრედიტაციის გამო და ასევე ნიკა გვარამიას მიმართ გავრცელებულ მუქარასთან დაკავშირებით", ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3dtG9Wb, ნანახია: 2022 წლის 31 აგვისტოს; კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის" [ფეისბუქის გვერდი], 2021 წლის 23 ივლისი, „მოვუწოდებთ ყველა საჯარო პირს შეწყვიტოს საზოგადოებაში მტრული განწყობების გაღვივება და მედიის დისკრედიტაცია", ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3EKpoSo, ნანახია: 2022 წლის 31 აგვისტოს.

[12] იხ.: „ნიკა გვარამიას საქმეზე გამოტანილი განაჩენი საიას შეფასებით დაუსაბუთებელია". საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 2022 წლის 3 ივნისი. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3BTjIae, ნანახია: 2022 წლის 31 აგვისტოს.

[13] იხ. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3A8HT1Y, ნანახია: 2022 წლის 31 აგვისტოს.

[14] იხ. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3Cnd7Fe, ნანახია: 2022 წლის 31 აგვისტოს.

[15] იხ. „საქართველოს მედია ლანდშაფტის შეფასება, 2021." ევროპის ფონდი. 2021. გვ. 34 ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3CJQtXO ნანახია: 2022 წლის 31 აგვისტოს.

კომისიის წევრები და კომისიის აპარატის თანამშრომლები დამოუკიდებელნი არიან თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებისას და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს". თუმცა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა და სხვა პირებმა გამოხატეს შეშფოთება პრაქტიკაში კომისიის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.

ბოლო წლებში აღინიშნა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მაუწყებლობის შინაარსში ჩარევის და გამოხატვის თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვის რამდენიმე შემთხვევა. 2021 წლის 1 თებერვალს კომისიამ, საკანონმდებლო მანდატის გარეშე, ტელეკომპანია „მთავარი არხი" დამნაშავედ ცნო „უხამსი" შინაარსის სიუჟეტის გაშვებაში, რის შედეგადაც ტელეკომპანია დაჯარიმდა.[16] კომისიის ეს გადაწყვეტილება ეფუძნებოდა კანონის არასწორ ინტერპრეტაციას და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას.[17]

გარდა ამისა, საგულისხმოა ისიც, რომ კომუნიკაციების ეროვნული კომისია, გასული წლების მსგავსად, მაუწყებელს ხშირად აკისრებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას არასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური რეკლამის გაშვების გამო, რაც სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია.[18] მარეგულირებელმა მაუწყებელი პოლიტიკური რეკლამის გაშვებისთვის დააჯარიმა „რეკლამის შესახებ" კანონის საფუძველზე, რომელიც არ ვრცელდება პოლიტიკური შინაარსის რეკლამებზე. სახალხო დამცველის შეფასებით, საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს არასაარჩევნო რეკლამის მარეგულირებელ წესებს და, შესაბამისად, პირდაპირ არ კრძალავს არასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური რეკლამის განთავსებას.[19]

ანალოგიურად, 2022 წლის 23 აგვისტოს კომისიამ დააჯარიმა რამდენიმე მაუწყებელი რეკლამის „შინ ევროპისკენ" გაშვებისთვის, რომელიც აკრიტიკებდა სახელმწიფოს ქმედებებს ევროინტეგრაციის თვალსაზრისით. ეს გადაწყვეტილება მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს და ეწინააღმდეგებოდა უკვე არსებულ სასამართლო პრაქტიკას პოლიტიკურ რეკლამებთან დაკავშირებით.[20]

3. საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული პრობლემები

საჯარო ინფორმაცია არის საჯარო დაწესებულების მიერ დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოხელის მიერ ოფიციალურ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი და საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია. კანონის ძალით, ყველა მოქალაქეს აქვს უფლება, მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია, განურჩევლად მისი ფორმისა.[21] ბოლო წლებში ჟურნალისტებისთვის და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ხელისუფლებისგან ინფორმაციის მიღება სულ უფრო რთულია. ეს პრობლემა ძირითადად მედიის მთავრობისადმი კრიტიკულად განწყობილ საშუალებებსა და წარმომადგენლებს ეხება.

საქართველოს სახალხო დამცველის განცხადებით, ქვეყანაში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში არის ნაკლოვანებები და ხარვეზები და იგი საჭიროებს ფუნდამენტურ რეფორმებს, რათა დააკმაყოფილოს საერთაშორისო სტანდარტები.[22] რეფორმები თითქმის 10 წლის წინ დაიწყო, თუმცა მას შემდეგ არანაირი პროგრესი არ შეინიშნება.

16 იხ. „საიას დახმარებით, „მთავარი არხი" კომუნიკაციების კომისიის უფლებამოსილებას – მოახდინოს „უხამსი" პროგრამების სანქცირება – საკონსტიტუციო სასამართლოში ასაჩივრებს". საია, 2021 წლის 29 მარტი. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3AGMyty, ნანახია: 2022 წლის 31 აგვისტოს.

17 იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", 2021, 177, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3PPsf1c. ნანახია: 2022 წლის 31 აგვისტოს.

18 „შპს „მთავარი არხისთვის" ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე", კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებგვერდი, 2021 წლის 25 დეკემბერი, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3KGnUeW. ნანახია: 2022 წლის 31 აგვისტოს.

19 იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", 2021, 177, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3PPsf1c. ნანახია: 2022 წლის 31 აგვისტოს.

20 იხ. კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის" [ფეისბუქის გვერდი], 2021 წლის 23 აგვისტო, „კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია და მნიშვნელოვნად აუარესებს მედიაგარემოს საქართველოში". ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3Aidz4U, ნანახია: 2022 წლის 31 აგვისტოს.

21 იხ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 28. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3CJJWwd, ნანახია: 2022 წლის 31 აგვისტოს.

ხშირად ინფორმაციის მომთხოვნი პირი ვერ იღებს მას კანონმდებლობით დადგენილ 10 დღიან ვადაში.[23, 24] პრობლემა მწვავდება, როდესაც საქმე ჟურნალისტებს ეხება, რადგან სახელმწიფო ხელისუფლება და პოლიტიკოსები ჟურნალისტების მიმართ ანტაგონისტურად არიან განწყობილნი.[25]

უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევებში ვადის დარღვევა, ინფორმაციის მიუწოდებლობა ან არასრულად მიწოდება შეიძლება გამოწვეული იყოს კონკრეტულ დაწესებულებაში რესურსების ნაკლებობით. თუმცა საქართველოს კანონმდებლობა არ მიიჩნევს აღნიშნულ პრობლემებს ინფორმაციის მიუწოდებლობის, არასრულად მიწოდების ან ვადის დარღვევის ლეგიტიმურ მიზეზად და არ ათავისუფლებს ადმინისტრაციულ ორგანოს კანონით დაკისრებული ვალდებულებისგან.

რეკომენდაციები

გამოხატვის თავისუფლებისა და მედიის თავისუფლების სრულად რეალიზაციის უზრუნველსაყოფად საქართველოს მთავრობამ:

- დროული რეაგირება უნდა მოახდინოს და ეფექტიანად გამოიძიოს მედიის წარმომადგენლების პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში უკანონო ჩარევისა და ძალის გადამეტების შემთხვევები;
- ბრალი წაუყენოს 2021 წლის 5-6 ივლისის მოვლენების დროს მედიის მიმართ ძალადობის ორგანიზატორებს;
- თავი შეიკავოს კრიტიკულად განწყობილი მედიის წარმომადგენლების მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულებისგან;
- უზრუნველყოს, რომ სასამართლოებმა თვალყური მიადევნონ და გაასაჯაროონ სტატისტიკური მონაცემები სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლთან დაკავშირებით;
- გაზარდოს საზოგადოების ინფორმირებულობა საქართველოში არსებული მედიის მარეგულირებელი და საჩივრების სხვადასხვა სისტემის, ასევე საზოგადოების წევრების მიერ ამ სისტემების გამოყენების უფლების შესახებ;
- უზრუნველყოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მოქმედება მისი მანდატისა და კანონმდებლობის ფარგლებში, თავიდან აიცილოს კანონის საწინააღმდეგო განმარტებები და პატივი სცეს მედიის თავისუფლებისა და საჯარო ინფორმაციის აღიარებულ სტანდარტს;
- დანერგოს ცენტრალურ დამოუკიდებელ ორგანოსთან ერთობლივი თანამარეგულირებელი სისტემა, სადაც დომინირებენ მედიის წარმომადგენლები, რომლებიც მიიღებენ გადაწყვეტილებებს საჩივრებთან დაკავშირებით, იმის ნაცვლად, რომ ამას თითოეული მაუწყებელი აკეთებდეს;
- დაასრულოს ცვლილებები ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელ კანონპროექტში და თანმხლები საკანონმდებლო ცვლილებები და მოახდინოს მათი ინიცირება საქართველოს პარლამენტში;
- უზრუნველყოს სახელმწიფო უწყებების მიერ მედიის წარმომადგენლებისთვის საჯარო ინფორმაციის მიწოდება კანონის შესაბამისად.

[22] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 250-252. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3KvvR7H. ნანახია: 2022 წლის 31 აგვისტოს.

[23] იხ. საიას კვლევა: საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობა საქართველოში. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი. 2017 წლის 28 სექტემბერი. ხელმისაწვდომია ქართულად შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3KznW9o. ნანახია: 2022 წლის 31 აგვისტოს.

[24] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 40, ნაწილი I.

[25] კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის" [ფეისბუქის გვერდი], 2020 წლის 8 აგვისტო, „კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის" მოუნოდებს მთავრობას უარი თქვას ჟურნალისტების დისკრიმინაციის პრაქტიკაზე". ხელმისაწვდომია ქართულად შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3wHWrVr, ნანახია: 2022 წლის 31 აგვისტოს; იხ., აგრეთვე, „როგორ გაუარესდა საჯარო ინფორმაციის მიღება მედიისთვის", მედია ჩეკერი, 2022 წლის 20 თებერვალი, ხელმისაწვდომია ქართულად შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3e9uS0X, ნანახია: 2022 წლის 31 აგვისტოს.